

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



გაღმავლობა

ნომერი №10

- * რეგიონალური ფინანსები
- * დაგეგმვის თეორია და მეთოდოლოგია
- * დაგეგმვის პრაქტიკა
- * ფინანსები, ადრინსვა და აუდიტი
- * მართლმართები საგადასახადო და საბაზო კანონმდებლობაში კონვენტარებით
- * კითხვა-პასუხები



2017

**უინანსური და
საპარამეტრიზო
კონსულტაციის ცენტრი**



გთავაზობთ:

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშების სქემების დამუშავებას
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის
დამუშავებას





sarCevi / **Table of contents**

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi 5-45

instruqcia / **Instuctions** 46-56



gadasaxadebi # 10, 2017

GADASAKHADEBI # 10, 2017



საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) მიწოდება ან/და იმპორტი;“.

2. 176¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის ან/და 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) რეალიზაცია;“.

3. 185-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) მსუბუქი ავტომობილისათვის და მოტოციკლისათვის (მოპედის ჩათვლით) – მათი წლოვანებითა და ძრავის მოცულობით;“.

4. 188-ე მუხლის პირველი ნაწილის ცხრილს დაემატოს შემდეგი შინაარსის 4¹ გრაფა:



"

მოტოციკლი (მოპედის ჩათვლით) (დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების წელსა და მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით, ხოლო იმპორტის შემთხვევაში – საბაჟო დეკლარაციის რეგისტრაციის წელსა და მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) გამოშვების წელს შორის სხვაობის მიხედვით), ძრავის მოცულობის 1 სმ ³			
4 1	8711 (გარდა 8711 სასაქონლო პოზიციით გათვალისწინებული ეტლისა)	ა) 1 წლამდე	1 სმ ³ 1.5
		ბ) 1 წლის	1 სმ ³ 1.3
		გ) 2 წლის	1 სმ ³ 0.7
		დ) 3 წლის	1 სმ ³ 0.7
		ე) 4 წლის	1 სმ ³ 0.7
		ვ) 5 წლის	1 სმ ³ 0.7
		ზ) 6 წლის	1 სმ ³ 0.8
		თ) 7 წლის	1 სმ ³ 0.8
		ი) 8 წლის	1 სმ ³ 0.8
		კ) 9 წლის	1 სმ ³ 0.8
		ლ) 10 წლის	1 სმ ³ 1.0
		მ) 11 წლის	1 სმ ³ 1.3
		ნ) 12 წლის	1 სმ ³ 1.5
		ო) 13 წლის	1 სმ ³ 1.8
პ) 14 წლის	1 სმ ³ 2.1		
ჟ) 14 წელზე მეტის	1 სმ ³ 2.4		

5. 189-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდში აღნიშნული მსუბუქი ავტომობილის და 8711 კოდში აღნიშნული მოტოციკლის (მოპედის ჩათვლით) იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმებიდან, თუ სატრანსპორტო საშუალება 15 კალენდარული დღის განმავლობაში გაფორმდება ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში და დატოვებს საქართველოს ტერიტორიას, იმპორტიორი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად დაიბრუნოს სატრანსპორტო საშუალებაზე გადახდილი აქციზი, მაგრამ არაუმეტეს გადახდილი აქციზის 50%-ის ოდენობისა.“.

6. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8703 და 8711 სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული ელექტროძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

15 ნოემბერი 2017 წ.

N1378-ის

**საქართველოს კანონი****„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), **24.06.2016**, სარეგისტრაციო კოდი: **260000000.05.001.018170**) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ.თ) საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული კრიტერიუმების საფუძველზე სამსახურის მიერ სდპ-ად განსაზღვრული პირი (გარდა საქართველოს ეროვნული ბანკისა);“.

2. მე-3 მუხლის მე-16 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**16.** საზედამხედველო ორგანოს ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებულ სუბიექტს სდპ-ის სტატუსს ანიჭებს შესაბამისი საზედამხედველო ორგანო.“.

3. მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ანგარიშგებების მომზადებისა და წარდგენის წესების განსაზღვრას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის და სხვა სამართლებრივი აქტების შემუშავებას, სუბიექტისათვის სდპ-ის სტატუსის მინიჭებას, სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნებისა და წესების განსაზღვრას, მათ შორის, შესაბამის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოსთან ერთად;“.

მუხლი 2. საქართველოს მთავრობამ არაუგვიანეს **2018** წლის **1** იანვრისა უზრუნველყოს საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმების დამტკიცება.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი

ქუთაისი,

2 ნოემბერი 2017 წ.

N1327-IX



საქართველოს მთავრობის

დადგენილება №496

2017 წლის 15 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 მაისის №265 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2017, 010110020.10.003.019974) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-სამოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) მსხვილფეხა საქონლის სადგომი/დროებითი სადგომი რეგისტრირებულია სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ;“;

ბ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) შერჩეული აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, იჯარის უფლებით მისაღები, სათიბი ან სამოვარი ან ორივე ერთად ერთ სულ ფურზე ან/და დეკეულზე არანაკლებ 1,5 ჰა-ისა და არაუმეტეს 4 ჰა-ისა;“.

2. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ბ) მსხვილფეხა საქონლის სადგომის/დროებითი სადგომის რეგისტრაციის შესახებ;“;

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პრეტენდენტის მეპაიეთა რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან იმავე ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი.“.

3. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ერთ მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილება ერთი განაცხადი. ერთი მუნიციპალიტეტიდან ორი ან მეტი განაცხადის დაფიქსირების შემთხვევაში პირველ რიგში დაკმაყოფილება იმ კოოპერატივის განაცხადი, რომლის მეპაიეთა საერთო რაოდენობიდან უფრო მეტი მეპაიეა რეგისტრირებული იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი. თუ ასეთი მეპაიეების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია, მაშინ განაცხადები დაკმაყოფილება რიგითობის მიხედვით.“.

4. მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹ . მუნიციპალიტეტ(ებ)ში ერთზე მეტი განაცხადის დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ რომელიმე მუნიციპალიტეტში არ დაკმაყოფილება არცერთი განაცხადი. განაცხადების დაკმაყოფილების რიგითობა განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ისე, რომ მუნიციპალიტეტებში განაცხადების დაკმაყოფილებისას პროგრამაში ჩასართავი პრეტენდენტების რაოდენობის ზრდა მოხდება თანაბარი (პროპორციული) პრინციპით.“.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს პროგრამის ფარგლებში პრეტენდენტების მიერ სააგენტოსთვის წარდგენილ ყველა განაცხადზე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვიციანი





საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №405

2017 წლის 10 ნოემბერი, ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებული წესის 38-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 38¹ მუხლი:

„მუხლი 38¹. დროებით ამოუღებადი დავალიანება

1. თუ, საგადასახადო ორგანოს მიერ პირის მიმართ საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება სრულად ვერ უზრუნველყოფს საგადასახადო დავალიანების/საგადასახადო ორგანოს მიერ ადმინისტრირებადი მოსაკრებლების (ამ მუხლის მიზნებისთვის შემდგომში – დავალიანება) გადახდევინებას, საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რომელიც არის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე შესაბამისი ოპერაციის წარმოების საფუძველი.

2. „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“ საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა დასაშვებია, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ:



ა) რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის შესახებ შეტყობინება მარეგისტრირებელ ორგანოებში;

ბ) გამოცემულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ და ჩაბარებულია პირისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით, გარდა პირის გარდაცვალების შემთხვევისა;

გ) იმ შემთხვევაში, თუ მარეგისტრირებელ ორგანოებიდან ან/და დავალიანების მქონე პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ამ პირს გააჩნია ქონება:

გ.ა) შედგენილია ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტი და იგი რეგისტრირებულია მარეგისტრირებელ ორგანოებში;

გ.ბ) განსაზღვრულია ყადაღადადებული ქონების ღირებულება (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამ წესის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირთა დასკვნის თანახმად, შეუძლებელია ღირებულების განსაზღვრა);

გ.გ) გაგზავნილია სასამართლოსთვის შუამდგომლობა ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის ან პირდაპირ სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემის შესახებ;

გ.დ) გაგზავნილია მოსამართლის ბრძანება მოვალის საგადასახადო გირავნობით/იპოთეკით დატვირთული და ყადაღადადებული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის;

დ) წარდგენილია პირის საბანკო ანგარიშებზე საინკასო დავალება;

ე) განხორციელებულია გადასახადის გადამხდელის სალაროდან ნაღდი ფულის ამოღების ღონისძიება;

ვ) დავალიანების მქონე პირის ან/და მესამე პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, განხორციელებულია მესამე პირზე გადახდევინების მიქცევის ღონისძიება.

3. დავალიანების „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“ საგადასახადო ორგანოს უფროსის/მოადგილის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს უნდა ერთოდეს:

ა) საგადასახადო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც მიუთითებს პირის მიმართ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ;



ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ პირს ან არ გააჩნია რეგისტრირებული ქონება ან/და წილები სხვა საწარმოში ან გააჩნია, მაგრამ ამ წესის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირთა დასკვნით დადგენილია, რომ მისი ღირებულება არ არის საკმარისი დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფისთვის;

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ირკვევა, რომ პირს ან არ გააჩნია სააგენტოში რეგისტრაციას დაქვემდებარებული რეგისტრირებული ქონება ან გააჩნია, მაგრამ ამ წესის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირთა დასკვნით დადგენილია, რომ მისი ღირებულება არ არის საკმარისი დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფისთვის;

დ) პირის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დოკუმენტი, რომ მას არ გააჩნია ქონება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ე) საგადასახადო ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ პირი საგადასახადო ორგანოში დაფიქსირებულ იურიდიულ ან/და საკონტროლო-სალარო აპარატების რეგისტრაციის მისამართზე არ ფუნქციონირებს, არ აქვს ქონება ან ამ წესის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ პირთა დასკვნით დადგენილია, რომ მისი ღირებულება არ არის საკმარისი დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფისთვის.

4. იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანოში გამოვლინდა/დაფიქსირდა ინფორმაცია პირის მიერ ქონების შესაძლო ფლობის შესახებ, საგადასახადო ორგანო განიხილავს „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მიზანშეწონილობის საკითხს და საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილე უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

5. საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“, არ წარმოადგენს დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების გაუქმების საფუძველს.

6. „დროებით ამოუღებად დავალიანებად მიჩნევის თაობაზე“ საგადასახადო ორგანოს უფროსი/მოადგილის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ბარათებისა და აღრიცხვის ფორმების წარმოების წესი განისაზღვრება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის**ბრძანება №414**

2017 წლის 21 ნოემბერი ქ. თბილისი

**„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ „დანართ №3“-ის („ბიუჯეტის შემოსულობების სახის განმსაზღვრელი სახაზინო კოდები“) სახაზინო კოდის – 3293 – „შემოსავალი ფერადი ლითონების დაუმუშავებელი შენადნობის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან“ – შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის სახაზინო კოდი:

შემოსავალი შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციაში მოქცეული სარკინიგზო ვაგონების გადამუშავებით მიღებული შავი ლითონის ჯართის ექსპორტის მომსახურების ტარიფიდან	3294
--	------

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის****ბრძანება №186/ნ**

2017 წლის 17 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“, საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 210211, 21/02/2011, სარეგისტრაციო კოდი: 430010000.22.022.016055) და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აბიტურიენტს, რომელსაც ზოგადი განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, უფლება აქვს გამოცდა მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და სამოქალაქო განათლებაში ჩააბაროს რუსულ ენაზე.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №187/ნ

2017 წლის 17 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებაში (სსმ 163, 14/12/2010, 430010000.22.022.016036) და ბრძანების:

1. მე-3 პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში“ (დანართი №3) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია მხოლოდ იმ დამატებითი სპეციალობის კომბინირება, რომლის ძირითადი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკვე ხორციელდება ავტორიზებულ ან აკრედიტებულ რეჟიმში.“

2. მე-4 პუნქტით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალის“ (დანართი №4):

ა) **020455** პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია:

„**020456** – საფინანსო სერვისები“.

ბ) **040780** პროფესიული სპეციალიზაციის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის პროფესიული სპეციალიზაცია:

„**040781** – ავტომობილის შეკეთება“;

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

მიხეილ ჩხენკელი



საქართველოს შემოსავლების სამსახურის

ბრძანება №30473

2017 წლის 15 ნოემბერი, ქ. თბილისი

„შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275

ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს შექმნის, მისი საქმიანობის წესის, ასევე აუდიტის და საბაჟო დეპარტამენტებში მედიაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შემოსავლების სამსახურის უფროსის 2013 წლის 8 ივლისის №31275 ბრძანებით დამტკიცებული:

ა) „აუდიტის დეპარტამენტში მედიაციის წესის“ (დანართი №3):

ა. ა) პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გადამხდელის პოზიცია უკვე განხილულია სათათბირო საბჭოზე ან/და იმავე საკითხთან დაკავშირებით საჩივარი განიხილება/განხილულია შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოზე/საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოზე ან შემოსავლების სამსახურის დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებულია აღნიშნულ საკითხზე საოქმო გადაწყვეტილება.“;

ა. ბ) მე-3 მუხლის:

ა. ბ. ა) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ა. ბ. ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. მედიაციის სამმართველო ამზადებს საკითხს სათათბირო საბჭოს სხდომაზე განსახილველად, რისთვისაც გადამხდელის პოზიციას და შესაბამის მასალებს (ასეთის არსებობისას) გადასცემს/უგზავნის (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) სათათბირო საბჭოს წევრებს.“;

ბ) „საბაჟო დეპარტამენტში მედიაციის წესის“ (დანართი №5):

ბ. ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რადაქციით:

„2. აქტის პროექტი არსებითად (გადასახადების დარიცხვის/არდარიცხვის ან/და სანქციის შეფარდების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ნაწილში) შეთანხმებული უნდა იყოს საბაჟო დეპარტამენტის საქონლის გამგების შემდგომი შემოწმების სამმართველოს (შემდგომში – საქონლის გამგების შემდგომი შემოწმების სამმართველო) უფროსთან/მის მოადგილესთან. ამასთან, აქტის პროექტში ყოველ გვერდზე მიეთითება „პროექტი“ და არ ხდება მისი დამოწმება აუდიტორის ხელმოწერით.“;

ბ. ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შემოსავლების სამსახურის უფროსი

გ. თაბუაშვილი





ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-23

2017 წლის 21 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი, 13/07/2017; სარეგისტრაციო კოდი 260030000.64.076.016017) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის“ (დანართი №1) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის მონიტორინგის საბოლოო შედეგების დასკვნითი შეფასება შეიძლება იყოს შემდეგი 5 კატეგორიის:“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის

ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

იური დოლიძე



17. 11. 2017

პროექტისაქართველოს კანონისაქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12. 10. 2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის:

ა) მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) პირი წერილობითი/ელექტრონული განცხადებით უარს აცხადებს საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.“;

ბ) მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იურიდიული პირის აქციონერზე/მოწილეზე განხორციელებული გადახდა ამავე იურიდიული პირის აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით, გარდა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემისა.“;

გ) მე-13 ნაწილი ამოღებულ იქნეს;

დ) 45-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 46-ე ნაწილი:

„46. საგადასახადო წელი - კალენდარული წელი.“.

2. 26-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სპეციალური სავაჭრო ზონის (შემდგომ - სსზ) სტატუსი, საკუთარი ინიციატივით, შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოში ეწევა ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას.“;

ბ) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სსზ-ის სტატუსის მიღების შემთხვევაში, სტატუსის მიღების მომდევნო წლის 1 იანვრიდან, პირი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სსზ-ის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი საქონლის მოძრაობის აღრიცხვა;

ბ) ამ კოდექსის 133¹ მუხლის შესაბამისად გადაიხადოს სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის დამქირავებელი გადასახადის გადამხდელის კუთვნილი საშემოსავლო/მოგების გადასახადი სსზ-ის ტერიტორიაზე საქმიანობის ნაწილში;

გ) სსზ-ში განახორციელოს თითოეული საქონლის დამცავი საშუალებით ნიშანდება და სსზ-ში რეალიზებულ საქონელზე მომხმარებელთან ანგარიშსწორება უზრუნველყოს ცენტრალიზებულად მართული სალარო პუნქტების მეშვეობით.“;



გ) მე-8 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

3. 26¹ მუხლის შემდეგ დაემატოს 26² მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26². ბაზრობის ორგანიზება

1. პირი, რომელიც საქართველოში ეწევა ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ბაზრობის ორგანიზებისა), ვალდებულია საგადასახადო ორგანოს მიმართოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს მინიჭებული აქვს ამ კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებული სსზ-ის სტატუსი.

2. ბაზრობის (ვაჭრობის) ორგანიზება არის პირის ან/და პირთა ჯგუფის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა.

3. ბაზრობა არის მიწის ნაკვეთი, რომელზეც განლაგებულია სტაციონარული სავაჭრო ობიექტები და არასტაციონარული სავაჭრო ადგილები ან მხოლოდ არასტაციონარული სავაჭრო ადგილები (არანაკლებ 10 არასტაციონარული სავაჭრო ადგილისა), რომლებიც განკუთვნილია საქონლის სარეალიზაციოდ.

4. არასტაციონარული სავაჭრო ადგილი (დროებითი შენობა-ნაგებობა) არის ანაკრები ელემენტებისგან შედგენილი ასაწყობ-დასაშლელი ან/და მობილური სამშენებლო სისტემა, რომელიც მიწასთან დაკავშირებულია საკუთარი წონით ან/და მშრალი არამონოლითური ჩამაგრებით და რომელსაც არ აქვს მიწისქვეშა სათავსები, აგრეთვე ამ მიზნით გამოყენებული ავტოსატრანსპორტო საშუალება.

5. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირი ვალდებულია:

ა) საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია ბაზრობის ტერიტორიაზე, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით;

ბ) სავაჭრო ობიექტი ან/და სავაჭრო ადგილი, იჯარით გასცეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში;

გ) ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილი უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატით.

6. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის მოიჯარე ფიზიკურ პირს, საგადასახადო ორგანოს მიერ ენიჭება ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსი.

7. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი პირის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების რეესტრს აწარმოებს საგადასახადო ორგანო.

8. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 3 პროცენტით, გამოქვითვების გარეშე. ამ შემთხვევაში გადასახადის დეკლარირება და გადახდა ხორციელდება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.



9. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი არ ჩაირთვება ამ პირის ერთობლივ შემოსავალში და შემდგომ დაბეგვრას არ ექვემდებარება.

10. ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

ა) ვალდებულია საქონლის მიწოდებისას გამოიყენოს საკონტროლო-სალარო აპარატი;

ბ) უფლებამოსილია უარი თქვას ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე, რის შესახებაც მან არაუგვიანეს საანგარიშო წლის წინა წლის 31 დეკემბრისა განცხადებით უნდა მიმართოს საგადასახადო ორგანოს. ამ შემთხვევაში პირის შემოსავალი დაიბეგრება ამ კოდექსის 79-ე-82-ე მუხლების შესაბამისად.

11. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს პირს, რომელიც საქართველოში ეწევა ბაზრობის ორგანიზებას, საკუთარი ინიციატივით მიანიჭოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსი.

12. ბაზრობის ფუნქციონირების და ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირის ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. “.

4. 34-ე მუხლს 6¹ ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6² ნაწილი:

„6². საქართველოს რეზიდენტობა, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-6 და 6¹ ნაწილებით განსაზღვრული შემთხვევებისა, შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკურ პირს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ განსაზღვრულ შემთხვევაში და დადგენილი წესით. “.

5. 82-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, თუ კალენდარული წლის განმავლობაში ასეთი მიწოდებით მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს; “;

ბ) „შ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „უ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ¹“ „უ²“ და „უ³“ ქვეპუნქტები:

„უ¹) რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი;



უ²) რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი;

უ³) რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის, მიწოდებით მიღებული შემოსავალი;“;

დ) „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასი, თუ დამქირავებლის მიერ ამ საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს;“.

6. 97-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობა წარმოადგენს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს:

ა) პირისათვის, რომელიც იღებს მოგებას „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად, ამ მოგების ნაწილში;

ბ) საქართველოს, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის აზერბაიჯანის რესპუბლიკის, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიების გავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო მილსადენით ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი საექსპორტო მილსადენის პროექტის მონაწილეთათვის, ამ პროექტის ფარგლებში მიღებული მოგების ნაწილში;

გ) საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის მეშვეობით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიების ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული სამხრეთ-კავკასიური მილსადენის პროექტის მონაწილეთათვის, ამ პროექტის ფარგლებში მიღებული მოგების ნაწილში.“.

7. 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საწარმოს პარტნიორზე განხორციელებული გადახდა ამავე საწარმოს აქციის/წილის საკუთრებაში გადაცემით, გარდა რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის გადაცემისა.“.



8. 99-ე მუხლის პირველი ნაწილის:

ა) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით;“;

ბ) „ი“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) „მ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ¹“, „მ²“ და „მ³“ ქვეპუნქტები:

„მ¹) არარეზიდენტის მიერ, რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

„მ²) არარეზიდენტის მიერ, რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;

„მ³) არარეზიდენტის მიერ, რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას;“.

9. მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;“.

10. 103-ე მუხლის პირველ ნაწილს „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ¹) „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული – ა(ა)იპ „სავალდებულო დაზღვევის ცენტრის“ მიერ, მზღვეველისგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, დაუზღვეველი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება



11. 130-ე მუხლის:

ა) 4¹ ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4¹. 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.“;

ბ) მე-5 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

12. 131-ე მუხლის მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

13. 168-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის:

ა. ა) „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო (ფარმაცევტული) მიზნებისათვის განკუთვნილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 28-ე და 29-ე ჯგუფებით გათვალისწინებული ნედლეულისა და სუბსტანციების, 30-ე ჯგუფით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;“;

ა. ბ) „კ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ¹) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი ნუსხის მიხედვით სამკურნალო/სამედიცინო მიზნებისთვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი ან/და მიწოდება;“;

ა. გ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2844 პოზიციის რადიო-ფარმ პრეპარატები (რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ), 8419 20 000 00, 9001 30 000 00, 9001 40, 9001 50, 9018-9022 (გარდა 9022 29 000 00), 9025 11 200 00 და 9402 90 000 00 კოდებში მითითებული საქონლის, 8713 და 8714 20 000 00 კოდებში აღნიშნული ეტლებისა და მათი ნაწილების და საკუთნოების, სამედიცინო დანიშნულების რენტგენის ფირების, სამედიცინო დანიშნულების სადიაგნოსტიკო ტესტ-სისტემების, გლუკომეტრების (რომელთა ტესტ- სისტემები რეგისტრირებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ), ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი, 9619 00 000 00 კოდში შემავალი, საქონლის მიწოდება ან/და იმპორტი;“;

ა. დ) „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (ქურნალ- გაზეთები, ნოტები) მიწოდება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით) ან/და იმპორტი, ასევე ელექტრონული მატარებლების (დისკების) საშუალებით სალექციო კურსების მიწოდება, რომელიც საგანმანათლებლო ხასიათისაა და შეიძლება გამოცემულ იქნეს ასევე წიგნის ფორმით;“;



ბ) მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901, 4902, 4903 00 000 00 და 4904 00 000 00 კოდებში მითითებული საქონლის (ჟურნალ-გაზეთების, ნოტების) რეალიზაციის მომსახურების, ბეჭდვის მომსახურების ან/და ჟურნალ-გაზეთების მიერ სარეკლამო მომსახურების გაწევა;“;

გ) მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ“ ქვეპუნქტი:

„ჭ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 4901 კოდში მითითებული საქონლის (წიგნის) მიწოდება ან/და იმპორტი, აგრეთვე ამ საქონლის რეალიზაციის მომსახურების და ბეჭდვის მომსახურების გაწევა;“.

14. 181-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 181¹ მუხლი:

„მუხლი 181¹. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელისათვის დღგ-ის თანხის დაბრუნება

1. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელს, უფლება აქვს დაიბრუნოს საქართველოში საქონლის (გარდა, უძრავი ქონებისა) ან/და მომსახურების შეძენისას ან საქართველოში საქონლის იმპორტისას გადახდილი დღგ-ი, თუ კმაყოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) პირი, საქართველოში ეკონომიკურ საქმიანობას არ ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან მისი საქმიანობის ადგილი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არ არის საქართველოში;

ბ) პირის მიერ საქართველოში შეძენილი საქონელი/მომსახურება ან იმპორტირებული საქონელი გამოიყენება დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებში;

გ) მსგავსი ოპერაციის განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი, ამ კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი იქნებოდა ჩაეთვალა გადახდილი დღგ;

2. დღგ-ის დაბრუნების მიზნით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს დღგ-ის გადამხდელი ვალდებულია დანიშნოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელსაც ამ მუხლით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების ფარგლებში ეკისრება გადასახადის გადამხდელისათვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებები.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული დღგ-ის თანხის დაბრუნების წესი და პირობები, ასევე კრიტერიუმები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს უფლებამოსილი წარმომადგენელი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“.

15. 188-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 188. აქციზის განაკვეთები აქციზურ საქონელზე, გარდა ალკოჰოლიანი სასმელისა“;

ბ) პირველი ნაწილის ცხრილის:

ბ. ა) პირველი და მე-2 გრაფა ამოღებულ იქნეს;

ბ. ბ) შენიშვნის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;



გ) მე-5 - მე-7 ნაწილები ამოღებულ იქნეს.

16. 188-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 188¹ მუხლი:

„მუხლი 188¹. აქციზი ალკოჰოლიანი სასმელებზე

1. ამ ნაწილში აღნიშნული ალკოჰოლიანი სასმელები იბეგრება აქციზის შემდეგო განაკვეთებით:

საქონლის დასახელება/აღწერილობა	ზომის ერთეული	განაკვეთი
ლუდი	1 ლიტრი/1%Vol	0.12
სხვა დადუღებული სასმელები 5%-ზე მეტი ალკოჰოლის შემცველობით	1 ლ	5
სხვა დადუღებული სასმელები 5% და ნაკლები ალკოჰოლის შემცველობით	1 ლ	0.6
შუალედური ალკოჰოლიანი სასმელები	1ლ	5
სასმელი, ეთილის სპირტის მაღალი კონცენტრაციით, გარდა 2208 20, 2208 60, 2208 90 330 00, 2208 90 380 00, 2208 90 480 00	1 ლიტრი სუფთა სპირტი	22.5
და 2208 90 710 00 კოდებით გათვალისწინებული საქონლისა		
სესესნ 2207 კოდით გათვალისწინებული საქონელი	1 ლიტრი სუფთა სპირტი	7,5
სესესნ 2208 20, 2208 60, 2208 90 330 00, 2208 90 380 00 00, 2208 90 480 00 და 2208 90 710 00 კოდებით გათვალისწინებული საქონელი	1 ლიტრი სუფთა სპირტი	15

შენიშვნა:

1. ამ ცხრილში მითითებული:

ა) ლუდი მოიცავს სეს ესნ 2203 პოზიციაში შემავალ ნებისმიერ საქონელს, აგრეთვე 2206 00 590 01, 2206 00 890 01 კოდებით გათვალისწინებული საქონელს (სეს ესნ 2206 პოზიციაში შემავალი ერთი ან მეტი უალკოჰოლო სასმელის ლუდთან ნაზავს), თუ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 0.5 %-ს;

ბ) სხვა დადუღებული სასმელები მოიცავს სეს ესნ 2205 და 2206 პოზიციებში შემავალ საქონელს, გარდა ლუდისა და ღვინისა:

– რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს და არ აღემატება 10%-ს;

– რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 10 %-ს და არ აღემატება 15%-ს,

იმ პირობით, რომ პროდუქტში არსებული ალკოჰოლი მთლიანად მიღებულია დადუღების გზით;



გ) შუალედური ალკოჰოლიანი სასმელები მოიცავს სეს ესნ 2205 და 2206 პოზიციებში შემავალ საქონელს (გარდა ლუდისა, ღვინისა და სხვა დადუღებული სასმელებისა), თუ მასში ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს და არ აღემატება 22%-ს;

დ) სასმელი ეთილის სპირტის მაღალი კონცენტრაციით მოიცავს:

– სეს ესნ 2208 პოზიციაში შემავალ ნებისმიერ საქონელს, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს;

– სეს ესნ 2205 და 2206 პოზიციებში შემავალ საქონელს, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 22%-ს.

2. ღვინო მოიცავს ყურძნის გამოყენებით წარმოებულ სეს ესნ 2204 და 2205 პოზიციებში შემავალ საქონელს, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1.2%-ს და არ აღემატება 18%-ს, იმ პირობით, რომ საბოლოო პროდუქტში არსებული ალკოჰოლი მთლიანად მიღებულია დადუღების გზით და დანამატების გარეშე.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის პირველი გრაფით გათვალისწინებულ საქონელზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს შესაბამისი აქციზის განაკვეთის, საქონლის მოცულობის რაოდენობრივი მაჩვენებლის და მოცემულ საქონელში ალკოჰოლის შემცველობის პროცენტული მაჩვენებლის ნამრავლს.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-2 – მე-4 გრაფებით გათვალისწინებულ საქონელზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს შესაბამისი აქციზის განაკვეთის ნამრავლს მოცემული საქონლის მოცულობის რაოდენობრივ მაჩვენებელზე.

5. ამ მუხლის პირველი ნაწილის ცხრილის მე-5 – მე-7 გრაფებით გათვალისწინებულ საქონელზე გადასახდელი აქციზის თანხა შეადგენს შესაბამისი აქციზის განაკვეთის ნამრავლს მოცემულ საქონელში სუფთა სპირტის მოცულობის რაოდენობრივ მაჩვენებელზე. “.

17. 192-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აქციზით დასაბეგრი ალკოჰოლიანი სასმელები;“;

ბ) მე-2 ნაწილის:

ბ. ა) „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) საფოსტო გზავნილის შემთხვევაში იმპორტირებული 4 ლიტრამდე ალკოჰოლიანი სასმელი;“;

ბ. ბ) „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ¹“ ქვეპუნქტი:

„ზ¹) მგზავრის მიერ იმპორტირებული ალკოჰოლიანი სასმელი, ამ კოდექსის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ²“ ნაწილით დადგენილი ზღვრული ოდენობის ფარგლებში;“.

18. 194-ე მუხლის მე-5 ნაწილის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



ბ) მგზავრის მიერ 200 ლერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ლერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით და რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;“;

ბ) „ბ¹“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ²“ ქვეპუნქტი:

„ბ²) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და მეტი ალკოჰოლის შემცველობის მქონე ალკოჰოლიანი სასმელის ან 80%-ის და მეტი ალკოჰოლის შემცველობის მქონე არადენატურიზებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის მქონე ალკოჰოლიანი სასმელის ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, აგრეთვე 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიზიდება ბარგით ან/და ხელბარგით და რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის;“;

გ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებული ალკოჰოლიანი სასმელი (სითხე);

ნ) ალკოჰოლიანი სასმელი გამოყენებული სასმელის დასამზადებლად, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა არ აღემატება 1.2%-ს;“;

დ) შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. თუ ალკოჰოლიანი სასმელის ან/და თამბაქოს ნაწარმის ან/და საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული საქონლის ოდენობა აღემატება ამ ნაწილის „ბ“, „ბ¹“ ან „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ზღვრულ ოდენობას, ამ მუხლით გათვალისწინებული აქციზისაგან გათავისუფლება გამოიყენება საქონლის ზემოთ მითითებული ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

2. ამ ნაწილის „ბ“, „ბ¹“ ან „ბ²“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება ფიზიკურ პირს 18 წლის ასაკიდან წარმოეშობა.



3. ამ ნაწილის „მ“ და „ნ“ ქვეპუნქტებში მითითებული საქონლის იმპორტისას/წარმოებისას გადაიხდევენ აქციზი, ხოლო აქციზის დეკლარაციის წარდგენის შემთხვევაში, ამ საქონლის იმპორტიორი/მწარმოებლისაგან შემდგენი პირი უფლებამოსილია დაიბრუნოს ან/და მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს აქციზის გადახდილი თანხა.

4. ამ ნაწილის „ბ“ და „ბ²“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის ჩაითვლება, რომ საქონელი არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის თუ მისი იმპორტი ხორციელდება ერთჯერადად და განკუთვნილია მგზავრის პირადი ან ოჯახის წევრების მოხმარების ან/და ჩუქების მიზნით. ამასთან, იმპორტი ერთჯერადია, თუ ადგილი აქვს საჭაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის იმპორტის არაუმეტეს ერთ შემთხვევას. “.

19. 199-ე მუხლის:

ა) „დ. გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ. გ) მგზავრის მიერ 200 ღერი სიგარეტის ან 50 სიგარის ან 50 სიგარილას ან საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმის ან საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულის და მსგავსი სახის პროდუქტის ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმის (გარდა თამბაქოს ნედლეულისა) იმპორტი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, ან საგარეო- ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 3824 90 980 01 კოდით გათვალისწინებული 50 მლ საქონლის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიხიდება ბარგით ან/და ხელბარგით და რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის; “;

ბ) „დ. გ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ. გ¹“ ქვეპუნქტი:

„დ. გ¹) მგზავრის მიერ ჯამურად 1 ლიტრი 22% და მეტი ალკოჰოლის შემცველობის მქონე ალკოჰოლიანი სასმელის ან 80%-ის და მეტი ალკოჰოლის შემცველობის მქონე არადენატურირებული ეთილის სპირტის ან 2 ლიტრი 22%-ზე ნაკლები ალკოჰოლის შემცველობის მქონე ალკოჰოლიანი სასმელის ან ამ ქვეპუნქტში მითითებული ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) სახეობათა ნაკრების იმპორტი, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის (გარდა ლუდისა და ღვინისა) წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება, 4 ლიტრი ღვინის და 16 ლიტრი ლუდის იმპორტი, რომელიც მგზავრის გადაყვანისას გადაიხიდება ბარგით ან/და ხელბარგით და რომელიც არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისათვის; “;

გ) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„ი) 2023 წლის 1 იანვრამდე თამბაქოს ნედლეულის იმპორტი;“;

დ) შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ ნაწილის „დ. გ“ და „დ. გ¹“ ქვეპუნქტების მიზნებისთვის ჩაითვლება, რომ საქონელი არ არის განკუთვნილი ეკონომიკური საქმიანობისთვის თუ მისი იმპორტი ხორციელდება ერთჯერადად და განკუთვნილია მგზავრის პირადი ან ოჯახის წევრების მოხმარების ან/და ჩუქების მიზნით. ამასთან, იმპორტი ერთჯერადაა, თუ ადგილი აქვს საპაერო ტრანსპორტით შემოტანის შემთხვევაში 1 კალენდარული დღის, ხოლო სხვა შემთხვევაში – 30 კალენდარული დღის განმავლობაში ამ საქონლის იმპორტის არაუმეტეს ერთ შემთხვევას.“.

20. 202-ე მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირისათვის:

ე. ა) ბაზრობის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის 15 პროცენტი;

ე. ბ) დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება ამ ქვეპუნქტის „ე. ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემოსავალს.“.

21. 206-ე მუხლის პირველი ნაწილის ჯ¹ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჯ¹) 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;“.

22. 224-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 224. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი

1. საგადასახადო ორგანო, ამ მუხლის მე-7 ნაწილით განსაზღვრული პირობების შესაბამისად გადასახადის გადამხდელს ანიჭებს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს.

2. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი ითვალისწინებს ავტორიზაციას:

ა) საქონლის გაფორმების პროცედურების გამარტივებისათვის, ან

ბ) დაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების საფუძველზე საბაჟო კონტროლის გამარტივებისათვის.

3. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი შესაძლებელია ერთდროულად ფლობდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ავტორიზაციებს.

4. თუ პირს, რომელიც ითხოვს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული კონკრეტული ტიპის გამარტივებით სარგებლობის უფლებას, გააჩნია ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი და ასრულებს აღნიშნულ გამარტივებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, საგადასახადო ორგანომ მას უნდა მისცეს ამ გამარტივებით სარგებლობის უფლება. ამასთან, საგადასახადო ორგანომ არ უნდა გადაამოწმოს ის კრიტერიუმები, რომლებიც შემოწმებულ იქნა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების დროს.



5. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი სარგებლობს ხელშემწყობი პირობებით სხვა გადასახადის გადამხდელებთან შედარებით საბაჟო კონტროლისას, რაც ასევე მოიცავს ნაკლები სიხშირით დოკუმენტებისა და მონაცემების შემოწმებას და საქონლის, სატრანსპორტო საშუალებისა და ტერიტორიის დათვალიერებას.

6. საგადასახადო ორგანო ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსთან დაკავშირებული გამარტივებული პროცედურებით სარგებლობის უფლებას ანიჭებს უცხო ქვეყნაში დაფუძნებულ პირს, რომელიც ასრულებს აღნიშნული ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და პირობებს, და რომლებიც საქართველოს მიერ აღიარებულია, როგორც საქართველოში ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორისათვის დადგენილი ვალდებულებებისა და პირობების ექვივალენტური. ასეთი უფლების მინიჭება უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაცვალგების პრინციპს, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

7. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს გადასახადის გადამხდელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) მას არ აქვს საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევები და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაული;

ბ) მას აქვს კომერციული და, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო აღრიცხვის მართვის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი საბაჟო კონტროლის განხორციელებას;

გ) იგი არის გადახდისუნარიანი და ფინანსურად მდგრადი;

დ) მას აქვს განხორციელებული საქონლის გაფორმების პროცედურები ან/და იგი/მის მიერ დაქირავებული პირი აკმაყოფილებს პროფესიული კვალიფიკაციის მოთხოვნებს - მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში;

ე) ის უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და დაცულობის სტანდარტების შესრულებას - მხოლოდ ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ავტორიზაციის შემთხვევაში.

8. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული პროცედურები არ გამოიყენება იმ საქონელთან მიმართებაში, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია საბაჟო კონტროლის განსაკუთრებული პირობები.

9. ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭების პირობები, შესაბამისი ავტორიზაციით სარგებლობის წესი, აგრეთვე იმ საქონლის ნუსხა, რომელზედაც არ ვრცელდება ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის ფლობასთან დაკავშირებული გამარტივებული პროცედურები, განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. “.

23. 281-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა -

იწვევს გადასახადის გადამხდელის (გარდა ბაზრობის ტერიტორიაზე არასტაციონალური სავაჭრო ადგილის დამქირავებელი ფიზიკური პირისა) დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით. “.



24. 285-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

25. 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა:

1. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ იდენტიფიკაციის საშუალებაზე ან/და ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან ნიშანდებულ ბარგზე/ხელბარგზე შეინიშნება მცირე დაზიანება, მაგრამ ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში ან ნიშანდებულ ბარგში/ხელბარგში შეღწევა შეუძლებელია.

2. „ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ კონტეინერი საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოტანილ იქნა საზღვაო ტრანსპორტით.“.

26. 290¹ მუხლის შემდეგ დაემატოს 290² მუხლი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 290². ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა**

1. ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე გამოვლენა

იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას – თითოეული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის მიხედვით (რომელიც არ არის უზრუნველყოფილი საკონტროლო-სალარო აპარატით) – 1 000 ლარის ოდენობით.

2. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის იჯარით გაცემა პირზე, რომელიც არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში –

იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.

3. ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის დამქირავებელი პირების შესახებ ინფორმაციის საგადასახადო ორგანოსთვის მიუწოდებლობა ან/და არასწორი/არასრული ინფორმაციის მიწოდება –

იწვევს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის დაჯარიმებას 4 000 ლარის ოდენობით.“.

27. 309-ე მუხლის:

ა) მე-10 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10¹ ნაწილი:

„10¹. ნამუშევარი ნავთობპროდუქტებისათვის (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი) ან/და ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების ნარეცხი) არ გამოიყენება გადამუშავების სასაქონლო ოპერაციები, გარდა შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისა, გადამუშავებული საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის პირობით.“;



ბ) მე-15 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. 2020 წლის 1 იანვრამდე საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულებისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები, რომლებიც არ იყენებენ დაქირავებულ პირთა შრომას და ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან, მათ შორის, დახლიდან, გარდა იმ პირისა, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია დღგ-ის გადამხდელად ამ კოდექსის შესაბამისად.“;

გ) 24-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. 2023 წლის 1 იანვრამდე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ 55.2 კოდით გათვალისწინებულ საქმიანობას, კერძოდ, მის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემას, საგადასახადო ორგანოსთვის მიმართვის შემთხვევაში იბეგრება ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით, თუ იგი ნებაყოფლობით არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად ან ამ საქმიანობის ნაწილში ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მის მიერ განხორციელებული ოპერაციების საერთო თანხა არ აღემატება 100 000 ლარს.“;

დ) 42-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„42. პირი, რომელიც ბაზრობის ორგანიზებას (გარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის ორგანიზებისა) ახორციელებდა 2018 წლის 1 იანვრამდე, ვალდებულია:

ა) არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა მიმართოს საგადასახადო ორგანოს ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით;

ბ) არაუგვიანეს 2018 წლის 1 ივლისისა უზრუნველყოს საგადასახადო ორგანოსთვის ბაზრობის ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ობიექტზე ან/და სავაჭრო ადგილზე მოვაჭრე ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენა;

გ) არაუგვიანეს 2019 წლის 1 იანვრისა უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის 1/3 საკონტროლო-სალარო აპარატებით;

დ) არაუგვიანეს 2019 წლის 1 ივლისისა უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილის 2/3 საკონტროლო-სალარო აპარატებით;

ე) არაუგვიანეს 2020 წლის 1 იანვრისა სრულად უზრუნველყოს ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილი საკონტროლო-სალარო აპარატებით.“;

ე) 92-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 92¹ ნაწილი:

„92¹. არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება მოგების გადასახადით დაბეგრას არ ექვემდებარება.“;

ვ) 93-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 93¹ და 93² ნაწილები:



„93¹. ამ კოდექსის 98² მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია, 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებამდე, ამ მუხლის 92-ე ნაწილის შესაბამისად ჩაითვალოს, დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი.

93². ამ მუხლის 93¹ ნაწილით გათვალისწინებული უფლების გამოყენების შემთხვევაში:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდების დივიდენდის განაწილებისას, ამ მუხლის 92-ე ნაწილით გათვალისწინებული ჩათვლა მცირდება ამავე მუხლის 93¹ ნაწილის შესაბამისად ჩათვლილი გადასახადის ოდენობით;

ბ) კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) მიწოდების შედეგად ანაზღაურების მიღებისას (თანხის ფაქტობრივად მიღებისას), პირი უფლებამოსილია თანხის ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში ჩაითვალოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადი, მაგრამ არაუმეტეს ანაზღაურებული თანხის შესაბამისად გამომანგარიშებული მოგების გადასახადისა. “;

ზ) 99-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„99. ამ კოდექსის 98¹ მუხლის მიზნებისთვის:

ა) 2008 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებული პირისგან მიღებული დივიდენდის განაწილება არ ითვლება მოგების განაწილებად;

ბ) 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან, ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე დივიდენდის განაწილება, ასევე 2017 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე პერიოდების კუთვნილი მოგებიდან ამ მუხლის 94-ე ნაწილით გათვალისწინებულ პირზე 2019 წლის 1 იანვრამდე დივიდენდის განაწილება, ითვლება მოგების განაწილებად. “.

მუხლი 2.

2018 წლის 1 იანვრამდე ვაჭრობის ორგანიზების განმახორციელებელ პირისათვის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე მინიჭებული სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი ითვლება გაუქმებულად.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26² მუხლის მე - 6 - მე-10 ნაწილების, მე-6 ნაწილის, მე-20 ნაწილის, 23-ე ნაწილის და 27-ე ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის პირველი მუხლის მე-6 ნაწილი და 27-ე ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.



3. ამ კანონის პირველი მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 26² მუხლის მე-6-მე-10 ნაწილები, მე-20 და 23-ე ნაწილები ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
გიორგი მარგველაშვილი

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის შემუშავების მიზეზია კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების, ასევე გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის ცალკეული საკითხების დაზუსტების აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის შემუშავების მიზანია კაპიტალის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულება, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული პირებისთვის არსებული და სხვა ზოგიერთი საგადასახადო შეღავათის გადავადება, წიგნის დასამზადებელი ნედლეულის გათავისუფლება დღგ-სგან ჩათვლის უფლებით, სპეციალური სავაჭრო ზონების მარეგულირებელი ნორმების, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების დაზუსტება.



ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

- კაპიტალის ბაზრის რეფორმა წარმოადგენს საქართველოს სამთავრობო პროგრამის ეკონომიკური განვითარების ნაწილის ერთ-ერთ მიმართულებას.

ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებისათვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან შესაძლებლობას, რითაც იქმნება კონკურენტული გარემო არა მხოლოდ დაკრედიტების, არამედ დანაზოგების ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებითაც. მეტიც, თუ რაიმე მიზეზით საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ფასიანი ქაღალდების ბაზარმა შესაძლოა შეასრულოს დამბალანსებლის როლი. განვითარებული და გამჭვირვალე კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

სწორედ ზემოთხსენებულ მიზანს ემსახურება წარმოდგენილი კანონპროექტი, რომლის შესაბამისად ფიზიკური პირები და არარეზიდენტები თავისუფლდებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდის მიწოდებით და სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებულ შემოსავალზე, თუ ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე. ამასთან, სასესხო ფასიანი ქაღალდებზე პროცენტის სახით მიღებული შემოსავლის ნაწილში შეღავათი გავრცელდება 2023 წლის 1 იანვრამდე გამოშვებულ ფასიანი ქაღალდებთან მიმართებაში.

ამ მიზნით ცვლილება შედის დივიდენდის განმარტებაში და ახალი რედაქციით ყალიბდება მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. სსკ-ის 82-ე მუხლს (საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება) ემატება „უ¹“ „უ²“ და „უ³“ ქვეპუნქტები. ახალი რედაქციით ყალიბდება 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი. 99-ე მუხლს (მოგების გადასახადისგან გათავისუფლება) ემატება „მ¹“, „მ²“ და „მ³“ ქვეპუნქტები. ამასთან, აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, უქმდება სსკ-ის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი, 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჟ“ ქვეპუნქტი, 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, 130-ე მუხლის მე-5 ნაწილი, 131-ე მუხლის მე-6 ნაწილი და 285-ე მუხლი.

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოში ეწევა ვაჭრობის ორგანიზებას ბაზრის ან/და შენობა-ნაგებობის ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტის ან/და სავაჭრო ადგილის გაქირავებით.



კანონმდებლობის შესაბამისად ბაზრობის ორგანიზატორისათვის, სავაჭრო ზონის მოსაწყობად დადგენილია სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები, რომლის შესრულებაც დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, კერძოდ: საქონლის სახეობის მიხედვით მოლეების მოწყობა (სეგმენტაცია), ბაზრობის ტერიტორიაზე რეალიზებულ საქონელზე შემოსავლების აღრიცხვა ერთიანი ცენტრალიზებული სალაროს მეშვეობით, სავაჭრო ზონის შემოღობვა და ბაზრობის ტერიტორიაზე საწყობის მოწყობა, ბაზრობის ტერიტორიაზე შეტანილი და გამოტანილი საქონლის აღრიცხვის სისტემის მოწყობა და მოვაჭრეებისათვის ბრუნვის გადასახადის დაკავებისა და გადახდის ვალდებულება.

კანონპროექტის შესაბამისად, ბაზრობის ორგანიზატორის მიერ სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მიღება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ხსენებული ვალდებულებების შესრულება ხდება ნებაყოფლობითი.

ამასთან, კანონპროექტის შესაბამისად იცვლება ბაზრობის ორგანიზატორის და ბაზრობაზე ვაჭრობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირთა ვალდებულებებებთან დაკავშირებული რეგულაციები. კერძოდ, ზუსტდება ბაზრობის განმარტება და ბაზრობის სტატუსს ობიექტს მიანიჭებს საგადასახადო ორგანო. გაუქმდება ბაზრობის მოსაწყობად ხსენებული, სავალდებულოდ შესასრულებელი მოთხოვნები და მათ ნაცვლად ბაზრობის ორგანიზატორს დაეკისრება ბაზრობაზე მოვაჭრე ფიზიკურ პირთა მიერ საგადასახადო ვალდებულების ჯეროვნად შესრულების უზრუნველყოფის ხელშესაწყობად აუცილებელი, მხოლოდ მინიმალური სახის მოთხოვნები, კერძოდ, ბაზრობის ორგანიზატორი ვალდებული იქნება საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია ბაზრობის ტერიტორიაზე, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირების შესახებ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ხოლო სავაჭრო ობიექტი ან/და სავაჭრო ადგილი უზრუნველყოს საკონტროლო-სალარო აპარატით და იჯარით გასცეს მხოლოდ იმ პირზე, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ბაზრობაზე მოვაჭრეს მიენიჭება სპეციალური სტატუსი და ისარგებლებს დაბეგვრის განსხვავებული რეჟიმით -პირი, რომელსაც მიენიჭება სტატუსი კუთვნილი საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, როგორც წესი, გადაიხდის ბრუნვის გადასახადს რეალიზებული საქონლის 3% -ის ოდენობით. პირი, რომელიც გადაიხდის ბრუნვის გადასახადს, ფაქტიურად განთავისუფლდება ბუღალტერიის წარმოების ვალდებულებისაგან და არ ექნება გამოსაქვითი ხარჯების დადასტურების პრობლემა. ამასთან, ბაზრობაზე მოვაჭრე ფიზიკური პირი უფლებამოსილი იქნება, უარი თქვას ბრუნვის 3 პროცენტისანი გადასახადით დაბეგვრის რეჟიმის გამოყენებაზე და ისარგებლოს საშემოსავლო გადასახადის ჩვეულებრივი დაბეგვრის რეჟიმით.

პროექტის შესაბამისად ბაზრობის ტერიტორიაზე მეწარმედ რეგისტრაციის და სალარო აპარატის გარეშე საქმიანობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება ბაზრობის ორგანიზატორს.



პროექტის შესაბამისად 2020 წლის 1 იანვრამდე გადავადდება ბაზრობაზე არასტაციონარული სავაჭრო ადგილის გამოყენებით ვაჭრობის განმახორციელებელი ფიზიკური პირებისათვის საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება, ხოლო 2018 წლის 1 იანვრამდე არსებული ბაზრობის ორგანიზატორი ვალდებული იქნება აღნიშნულ ვადამდე ეტაპობრივად განახორციელოს სტატუსის მიღება, საგადასახადო ორგანოსთვის სსზ-ბაზრობის ტერიტორიაზე არსებულ სავაჭრო ობიექტზე ან/და სავაჭრო ადგილზე მოვაჭრე ფიზიკური პირების შესახებ ინფორმაციის წარდგენა და იჯარით გაცემული არასტაციონარული სავაჭრო ობიექტების ან/და სავაჭრო ადგილების საკონტროლო-სალარო აპარატებით სრულად უზრუნველყოფა, კანონპროექტით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მიზნით, კანონპროექტის შესაბამისად ახალი რედაქციით ყალიბდება სსკ-ის 26-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები, 202-ე მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 281-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე მუხლი მე-7 ნაწილი და 309-ე მუხლის მე-15 და 42-ე ნაწილები, ამავე მიზნით კოდექსს ემატება ახალი 26² და 290² მუხლები.

- ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, 1986 წლის 17 ნოემბრის საბჭოს მცამეტე დირექტივასთან 86/560/EEC საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებულ დღგ-ის გადამხდელებს, რომლებიც საქართველოში არ ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას და არ აქვთ მუდმივი დაწესებულება საქართველოში, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით დაუბრუნდებათ საქართველოში დღგ-ის გადამხდელისაგან საქონლის/მომსახურების შემენისას გადახდილი დღგ-ის თანხა. ცვლილება ხელს შეუწყობს საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში დაფუძნებულ ბიზნესებს შორის საქმიანი ურთიერთობების გაღრმავებას.

აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით საგადასახადო კოდექსს ემატება 181¹ მუხლი.

- საგადასახადო კოდექსში ხორციელდება ცვლილებები ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის სტრუქტურის ევროკავშირის კანონმდებლობასთან (1992 წლის 19 ოქტომბრის საბჭოს 92/83/EEC დირექტივა) სრული ჰარმონიზაციის მიზნით.

აღნიშნული ცვლილებებით იმიჯნება აქციზით დაბეგვრის ობიექტი სპირტიან სასმელებზე. კერძოდ, ეთილის სპირტად ჩაითვლება ყველა სასმელი რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 22%-ს. ვინაიდან ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის განაკვეთი დამოკიდებულია 1 ლიტრ სასმელში სუფთა სპირტის ოდენობაზე და არა სასმელის ბრენდზე, ადარ მოხდება საქონლის სახეობებად (მაგალითად ტეკილა, კალვადოსი და ა.შ.) დიფერენცირება. ამასთან, არ დაიბეგრება სპირტიანი სასმელები, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა არ აღემატება 1.2%-ს და აქციზისაგან გათავისუფლდება ფარმაცევტული პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებული საქონელი;



აღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კოდექსის 188-ე, 192-ე და 194-ე მუხლები, ასევე კოდექსს ემატება ახალი 188¹ მუხლი.

- ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში, 2007 წლის 20 დეკემბრის საბჭოს 2007/74/EC დირექტივასთან მესამე ქვეყნიებიდან მგზავრების მიერ შემოტანილი საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადისგან გათავისუფლების შესახებ ჰარმონიზაციის მიზნით იცვლება მგზავრთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისას პირადი ბარგით შემოტანილი აქციზური საქონლის დამატებული ღირებულების გადასახადის, იმპორტის გადასახადის და აქციზისაგან გათავისუფლების რაოდენობრივი ლიმიტები. ქართული კანონმდებლობა თამბაქოსთან მიმართებაში უკვე შესაბამისობაშია აღნიშნულ დირექტივასთან, თუმცა ზოგიერთ საქონელზე დაწესებული რაოდენობრივი ლიმიტები არ არის ევროკავშირში დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისი. აღსანიშნავია, რომ მგზავრის მიერ საქონლის იმპორტი უნდა ხორციელდებოდეს პირადი მოხმარების მიზნით და არ უნდა ჰქონდეს სამეწარმეო ხასიათი.

4 ლიტრი ნებისმიერი სახეობის ალკოჰოლიანი სასმელის შემოტანა იყო ამ დროისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობით, ხოლო პროექტით დასაშვები იქნება:

- ü 1 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელი, ალკოჰოლის შემცველობით 22% და მეტი ან არადენატურირებული ეთილის სპირტი ალკოჰოლის შემცველობით 80%-ი და მეტი
- ü 2 ლიტრი ალკოჰოლიანი სასმელი - ალკოჰოლის შემცველობა 22% -ზე ნაკლები (დასაშვებია პირველ და მე-2 პუნქტში მოცემული ალკოჰოლიანი სასმელების კომბინაცია 100%-ის ოდენობით)
- ü 4 ლიტრი ფერმენტირებული ღვინო
- ü 16 ლიტრი ლუდი

ამასთან, ამ მომენტისათვის გათავისუფლებულია სატრასპორტო საშუალების ავზში მოთავსებული საწვავის შემოტანა. დამატებით გათავისუფლდება დღგ-ისა და აქციზისაგან პორტაბელურ კონტეინერში მოთავსებული საწვავის არაუმეტეს 10 ლიტრისა შემოტანა.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულების მიზნით ცვლილება შედის კოდექსის 194-ე და 199-ე მუხლებში.

- 224-ე მუხლის ცვლილებით საქართველოში მოქმედი ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის დებულებები შესაბამისობაში მოდის ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2013 წლის 9 ოქტომბრის №952/2013 რეგულაციით დამტკიცებული „კავშირის საბაჟო კოდექსის „38-ე მუხლთან. კერძოდ, ზუსტდება ავტორიზაციის სახეები და სტატუსის მინიჭების პირობები. გარდა ამისა, ცვლილების თანახმად დაინტერესებული პირის მიერ, რომელიც ფლობს ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსს, საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გამარტივების (ნებართვა, რაიმე სახის ხელშეწყობა ან უპირეტესობა და სხვა) მოთხოვნისას საგადასახადო ორგანო ანიჭებს ამ გამარტივებების გამოყენების უფლებას ისე, რომ ადარ ამოწმებს იმ



მოთხოვნებს, რომლებიც შემოწმებულ იქნა ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის სტატუსის მინიჭებისას.

- კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება სსკ-ის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისად გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის თაობაზე განცხადების წარდგენა შესაძლებელი იქნება როგორც წერილობითი ისე ელექტრონული ფორმით;

- დღეის მდგომარეობით საგადასახადო კოდექსის არაერთი დებულება ითვალისწინებს ტერმინს „საგადასახადო წელი“, თუმცა არ არსებობს საგადასახადო წლის განმარტება. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 45-ე ნაწილის შემდეგ ემატება 46-ე ნაწილი, რომლითაც განიმარტება ტერმინი „საგადასახადო წელი“.

- კანონპროექტის შესაბამისად სსკ-ის 34-ე მუხლს ემატება 6² ნაწილი, რომლის შესაბამისადაც შესაძლებელი იქნება ფინანსთა მინისტრის ბრძანების შესაბამისად დადგენდეს, უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირისათვის რეზიდენტობის მინიჭებისათვის, კოდექსით დადგენილისგან განსხვავებული კრიტერიუმები.

- მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის საერთაშორისო ხელშეკრულებებთან თანხვედრის მიზნით, ცვლილება ხორციელდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის მე-8 ნაწილში და, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული „არსებული ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე, ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად მიღებული მოგების მოგების გადასახადით დაბეგვრის ანალოგიურად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების მონაწილეთა მოგების გადასახადით დაბეგვრა განხორციელდება 2017 წლის 1 იანვრამდე მოქმედი დებულებების შესაბამისად, ამ პროექტების ფარგლებში მიღებული მოგების ნაწილში, ვინაიდან ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტის მონაწილეთა მოგების გადასახადი, აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, განისაზღვრება წლის განმავლობაში გაწეული ხარჯებით შემცირებული შემოსავლის მიხედვით და გაიანგარიშება როგორც ფიქსირებული განაკვეთის, ასევე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად;

- საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის შესახებ“

კანონპროექტი ითვალისწინებს სავალდებულო დაზღვევის ცენტრის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევას, როცა ანაზღაურება არ განხორციელდება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ;



მოქმედი კანონმდებლობით, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ დაზღვეული ფიზიკური პირისათვის გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება, რომელიც არ აღემატება დამდგარი ზიანის ოდენობას, არ განიხილება შემოსავლად და შესაბამისად არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით. წარმოდგენილი ცვლილებებით 103-ე მუხლის პირველ ნაწილს ემატება „ბ¹“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ანალოგიურად დარეგულირდება სავალდებულო დაზღვევის ცენტრის მიერ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის, კანონით გათვალისწინებული წესით, ანაზღაურების შემთხვევაც.

- საქართველოს საგადასახადო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებები იძლევა შესაძლებლობას საქართველოს ფინანსთა და ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანების საფუძველზე, საქონელი, რომელიც გამოიყენება სამკურნალო მიზნებისათვის, გათავისუფლდეს დღგ-სგან, ამასთან, შეღავათი შეეხო მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან სახელმწიფო პროგრამაში. ვინაიდან ზოგიერთი კატეგორიის საქონელი გამოიყენება მხოლოდ სამკურნალო მიზნებისათვის (მაგ, დიალუზის პროცედურების ჩასატარებლად), წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად შეღავათი შეეხება ამგვარი საქონლის (რომელიც გამოიყენება მხოლოდ სამკურნალო მიზნებისათვის და შეტანილია საქართველოს ფინანსთა და ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით განსზღვრულ ნუსხაში) ყველა იმპორტიორს. ამ მიზნით ცვლილება შედის და ახალი რედაქციით ყალიბდება 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ¹“ ქვეპუნქტი.

- 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტში განსახორციელებელი ცვლილების შესაბამისად დღგ-ისგან გათავისუფლება გავრცელდება სეს ესნ-ის 30-ე ჯგუფზე მთლიანად, ნაცვლად მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული აღნიშნული ჯგუფის ფარმაცევტული პროდუქციისა და ვაქცინებისა. ასევე, ცვლილება შედის ამავე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტში, რომლის შესაბამისადაც დადგენილი საგადასახადო შეღავათი დამატებით გავრცელდება სამედიცინო დანიშნულებისა და კვებისა და ჰიგიენისთვის განკუთვნილ საქონლზე.

- მოქმედი კანონმდებლობით დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულია წიგნის იმპორტი და მიწოდება, ასევე მათი ბეჭდვის მომსახურება;

წიგნის წარმოებისას გამოყენებული ნედლეული (მუყაო, ქაღალდი, წებო და სხვ) იბეგრება დღგ-ით, ხოლო მწარმოებლის მიერ მათი შექმნისას გადახდილი დღგ არ ექვემდებარება ჩათვლას და წიგნის წარმოებისას ნედლეულზე გადახდილი დღგ წარმოადგენს მწარმოებლის დამატებით ხარჯს.

წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, წიგნის მიწოდება და ბეჭდვის მომსახურება დღგ-ისგან გათავისუფლდება ჩათვლის უფლებით, რაც შესაძლებლობას მისცემს მწარმოებელს ჩაითვალოს წარმოებაში გამოყენებულ ნედლეულზე გადახდილ დღგ. ამ მიზნით ცვლილება შედის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ და 168-ე მუხლის მეორე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტებში, ხოლო 168-ე მუხლის მეორე ნაწილს ემატება „ჭ“ ქვეპუნქტი.



- კანონპროექტის შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირებისათვის საშემოსავლო გადასახადში, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის მოგების და ქონების გადასახადში არსებული საგადასახადო შეღავათები გაგრძელდება დამატებით 5 წლის ვადით 2023 წლის 1 იანვრამდე. ამ მიზნით შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ და „ც“ ქვეპუნქტებში, 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში, მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტში, 130-ე მუხლის 4¹ ნაწილში, 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჯ“¹ ქვეპუნქტში;

- 199-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად თამბაქოს ნედლეულის იმპორტის გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლების ვადა 2018 წლის პირველი იანვრიდან იწევა 5 წლით, 2023 წლის პირველ იანვრამდე;

- 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის შენიშვნაში და მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ შენიშვნას ემატება ახალი ნაწილი, რომლის თანახმად, ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება საზღვაო გზით შემოტანილი კონტეინერის მფლობელს.

კერძოდ, საზღვაო გზით შემოტანილი კონტეინერების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოდგენილია არასრულყოფილად დალუქულ ან დაუღუქავ მდგომარეობაში. რიგ შემთხვევებში კონტეინერების გამომგზავნთა მიერ არ ხორციელდება მათი დალუქვა ან სრულყოფილად დალუქვა, რადგან ზოგიერთი კონტეინერის ტიპი არ იძლევა ამის შესაძლებლობას (მაგ. ცისტერნა-კონტეინერების სარქველები ილუქება მხოლოდ ჭანჭიკებით და სარქველები აჭურვილი არაა იდენტიფიკაციის საშუალების დასადები მოწყობილობით, ღია ტიპის „flatrack“ კონტეინერები, რომელთა ნიშანდებაც შეუძლებელია და სხვ.). გარდა ამისა, საზღვაო გზით გადაადგილებულ კონტეინერზე დადებული იდენტიფიკაციის საშუალებების დაზიანების ალბათობა ტრანსპორტირებისას, გადაზიდვის ტიპიდან გამომდინარე, უფრო მაღალია, ვიდრე სხვა შემთხვევებში (საავტომობილო/სარკინიგზო გადაზიდვებისას).

ვინაიდან „საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე იდენტიფიკაციის საშუალების მოხსნა/მოცილება ან/და სხვაგვარად გაუვარგისება/განადგურება, ნიშანდებული სატრანსპორტო საშუალების ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებული შენობა-ნაგებობის ან ნიშანდებული ბარგის/ხელბარგის დაზიანება, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება იმგვარად დადებული იდენტიფიკაციის საშუალებით, რომელიც მასში იდენტიფიკაციის საშუალების დაზიანების გარეშე შეღწევის საშუალებას იძლევა“ წარმოადგენს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ საგადასახადო სამართალდარღვევას და ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე არ ვრცელდება ამავე ნაწილების შენიშვნის მოქმედება (შენიშვნა: ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, თუ იდენტიფიკაციის საშუალებაზე ან/და ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან ნიშანდებულ ბარგზე/ხელბარგზე შეინიშნება მცირე დაზიანება, მაგრამ ნიშანდებულ სატრანსპორტო საშუალებაში ან საბაჟო კონტროლის ზონაში არსებულ შენობა-ნაგებობაში ან ნიშანდებულ ბარგში/ხელბარგში შეღწევა შეუძლებელია), საგადასახადო ორგანოს მიერ ხორციელდება



კონტინენტების გადამზიდავების დაჯარიმება, რაც მნიშვნელოვან პრობლემას უქმნის ამ სფეროს ბიზნეს სექტორს – ერთი და იმავე საზღვაო გადამზიდავ კომპანიაზე, კონტინენტების რაოდენობიდან გამომდინარე, იწერება რამდენიმე ათეული საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი, შესაბამისად, გროვდება რამდენიმე ათასი ლარის ოდენობის ფულადი ჯარიმა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემდეგ არსებულ შენიშვნას დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი: ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება საზღვაო გზით შემოტანილი კონტინენტის მფლობელს.

- წარმოდგენილი ცვლილებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება 10¹ ნაწილი, რომლის თანახმად, შესაძლებელი ხდება შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციის გამოყენება, ნამუშევარი ნავთობპროდუქტებისათვის (ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი), ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი), გადამუშავებული საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის პირობით.

ამ ცვლილების შემუშავება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, „საქართველოში ნავთობის მსუბუქი, საშუალო და მძიმე დისტილატებისათვის არ გამოიყენება გადამუშავების სასაქონლო ოპერაციები, გარდა შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციისა, რომელიც გამოიყენება საქონლის შერევის (კომპაუნდირების) და გადამუშავებული საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანის პირობით.“ ნამუშევარი ნავთობპროდუქტებიც, კერძოდ, ლიალური წყალი (ნავთობით დაბინძურებული წყალი) და ტანკის (ნავთობპროდუქტების ბაკ-საცავების) ნარეცხი გარკვეული დოზით შეიცავს ნავთობის დისტილატებს და მისი გადამუშავებით მიღებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდება გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ზემოაღნიშნულ აკრძალვას.

- 309-ე მუხლის 24-ე ნაწილში მომზადებული ცვლილებით 2023 წლის 1 იანვრამდე გადავადდება ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემით მიღებული შემოსავლის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესაძლებლობა.

- 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმი, რომელიც ვრცელდება, არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიმართაც. მოქმედი კანონმდებლობით არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებას, სხვა საწარმოებისგან განსხვავებით, არ აქვს შესაძლებლობა, 2017 წლამდე მიღებული მოგების გატანის შემთხვევაში ჩაითვალოს 2017 წლამდე გადახდილი მოგების გადასახადი. სწორედ ამ პრობლემის დარეგულირების მიზნით სსკ-ის 309-ე მუხლს ემატება 9² ნაწილი, რომლის შესაბამისადაც არარეზიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულების მიერ 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგების განაწილება მოგების გადასახადით აღარ დაიბეგრება.



- მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი რეჟიმის შესაბამისად, მოგების გადასახადით დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს არარეზიდენტის, აგრეთვე მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანის ან აქციის/წილის (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული აქციისა/წილისა) შესაძენად განხორციელებული გადახდა.. კანონპროექტის შესაბამისად, აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისას პირი უფლებამოსილი იქნება „ 2008-2017 წლებში მიღებული მოგების განაწილების ფარგლებში, დადგენილი წესით ჩაითვალოს იმავე პერიოდში დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი. .

- კანონპროექტის შესაბამისად ცვლილება ხორციელდება სსკ-ის 309-ე მუხლის 99-ე ნაწილში, რომლის შესაბამისადაც დაზუსტდა მოგების გადასახადის ახალი და ძველი დაბეგვრის რეჟიმით მოსარგებლე პირებს შორის მოგების განაწილების შემთხვევები, იმ მიზნით რათა თავიდან იქნეს აცილებული ერთიანი იმავე დასაბეგრი ბაზის ორჯერ დაბეგვრა ან/და დაუბეგრაობა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს არსებით გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი დადებითად იმოქმედებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობაზე რომელთა მიმართ ვრცელდება მისი მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):



კანონპროექტით არ იცვლება დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა

=====



i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №411

2017 წლის 21 ნოემბერი, ქ. თბილისი

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის
თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლს მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი 060111; 200090000.22.033.016112; 3.01.2011წ.) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 48¹ მუხლის მე-15 მაგალითი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მაგალითი 15.

მხარეთა შეთანხმებით, აქციზური საქონლის (არყის) მწარმოებელი საწარმო ვალდებულია მაღაზიას 2017 წლის 15 სექტემბერს მიაწოდოს 500 ლიტრი არაყი (1 ლიტრი არაყში სუფთა სპირტის მოცულობა შეადგენს 40%-ს (40 გრადუსი)). საკომპენსაციო თანხა შეადგენს 11 800 ლარს (დღგ-ის ჩათვლით). მაღაზიამ 2017 წლის აგვისტოს თვეში წინასწარ განახორციელა 1180 ლარის ოდენობით საკომპენსაციო თანხის ანაზღაურება.

შეფასება:

იმის გათვალისწინებით, რომ საკომპენსაციო თანხის ნაწილის – 1180 ლარის გადახდა განხორციელდა საქონლის მიწოდების მომენტამდე, გამყიდველი საწარმო დასაბეგრ ოპერაციაზე დარიცხულ დღგ-ის თანხას დაადეკლარირებს აგვისტოს თვის დღგ-ის დეკლარაციით.

განსახილველ ოპერაციაზე დღგ-ის თანხა შეადგენს 180 ლარს (1000x18%).

2017 წლის სექტემბერში, საქონლის მიწოდების მომენტის შესაბამისად, მოხდება საკომპენსაციო თანხის დარჩენილ ნაწილზე (10620 ლარი) დასარიცხი დღგ-ის დეკლარირება და მიწოდების მიხედვით აქციზის თანხის გაანგარიშება, კერძოდ:

დღგ-ის თანხა – 1620 ლარი (10620-(10620/1,18));

აქციზის თანხა – 3 000 ლარი (500 ლიტრი X (1*40%) X 15=500 X 0.4 X 15 ლარზე).“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

მამუკა ბახტაძე





სამხედრო რჩენის ხელშეკრულების საგნის ხარტერად აღიარება 2531

ფაქტობრივი გარემოებები

60 წელს გადაცილებულმა ფიზიკურმა პირმა (სარჩის მიმღებმა) ფიზიკურ პირთან (მარტყალიან) 2014 წელს გაფორმდა სამხედრო რჩენის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სარჩის მიმღებმა გარდაცვალების შემდეგ მარტყალს საკუთრებაში გადაეცემა ზინა.

2016 წლის აპრილის თვეში სარჩის მიმღები გარდაიცვალა, ხოლო მარტყალმა ზინაზე საკუთრების უფლება დაირეგისტრირა იმავე წლის მაისის თვეში.

მარტყალს 2014 წლიდან სარჩენის გარდაცვალებამდე პერიოდში განკუთვნილი აქვს დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები - 20 000 ლარის ოდენობით, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური სარჩის გადახდის სახით. გარდა აღნიშნულისა, მარტყალს პირადად აქვს განკუთვნილი სარჩის მიმღებთან მიმართ მოვლის მომსახურება, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 5000 ლარს.

2017 წლის 1 აპრილამდე მარტყალმა წარადგინა სამუშაო გაცხადების წლიური დეკლარაცია და ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლიდან განკუთვნილი დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები გამოქვითა უზიარებელი შემოსავლიდან, ხოლო მოვლის მომსახურების საბაზრო ღირებულება - 5000 ლარის ოდენობით დაზღვრა სამუშაო გაცხადებით.

ამასთან, პირმა აღნიშნული სამხედრო რჩენის მომსახურება მიიწვია დღგ-ისგან ჩაივლის უფლების გარეშე გათვინის უფლებულ ოპერაციად და არ დაზღვრა დღგ-ით.

შეფასება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც კონკრეტულ სამხედრო რჩენის გადახდის (მარტყალი), მოვალე გადაუხადებს იგი სარჩის მიმღებ (მარტყან) მოვლი სიფიქსის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რაზმს არ ითვალისწინებს. სამხედრო რჩენი შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ზინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-18 მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, საქონლის/მომსახურების გაცემის (მარტყალი) ოპერაცია საქონლის/მომსახურების მიწოდებელი თითოეული მხარისათვის ითვლება საქონლის/მომსახურების საბაზრო ფასით რეალიზაციად, ხოლო საქონლის/მომსახურების თითოეული მიმღებისათვის - საქონლის/ მომსახურების იმავე საბაზრო ფასით შექმნა. ასევე კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ჩაივლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათვინის უფლებული სააღმშრდელო ან/და სკოლაშეღველ დაწესებულებებში ხაზმეთა მოვლა-პატრონობის მომსახურების განკუთვნილი ან/და ავადმყოფთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა) და 60 წლის და მეტი ასაკის პირთა მოვლა-პატრონობის მომსახურების განკუთვნილი.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მარტყალს რჩენის მომსახურების მიწოდება ეთვლება საბაზრო ფასით მომსახურების რეალიზაციად - 25 000 ლარის ოდენობით (განკუთვნილი დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯებისა და მოვლის მომსახურების საბაზრო ღირებულება) და იმავე საბაზრო ფასით საქონლის (ზინის) შექმნა, ზინის საკუთრებაში მიღების მომენტში (მაისის თვე).

უფლებულ შემადგენელსა და სსკ-ის მე-18 მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, მომსახურების ღირებულება - 5000 (25 000-20 000) ლარის ოდენობით ექვემდებარება სამუშაო გაცხადებით დაზღვრის 2016 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზინის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, პირს დღგ-ის გადახდის ვალდებულება არ წარმოიქმნება.

შესაბამისად, პირის ქმედება, როგორც სამუშაო გაცხადის დამატებითი ღირებულების გადასახდის ნაწილში, მართალ-ზომიერია.

ღირსბეჭეტი

პირის ქმედებაში საგადასახადო საბაზროდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.



ანოტაცია

„სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგნის ბარტერად აღიარება“ №2531

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგნის ბარტერად აღიარების, მისი საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადებით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 60 წელს გადაცილებულმა ფიზიკურმა პირმა (სარჩოს მიმღებმა) ფიზიკურ პირთან (მარჩენალთან) 2014 წელს გააფორმა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სარჩოს მიმღების გარდაცვალების შემდეგ მარჩენალს საკუთრებაში გადაეცემა ბინა. 2016 წლის აპრილის თვეში სარჩოს მიმღები გარდაიცვალა, ხოლო მარჩენალმა ბინაზე საკუთრების უფლება დაირეგისტრირა იმავე წლის მაისის თვეში.

მარჩენალს 2014 წლიდან სარჩენის გარდაცვალებამდე პერიოდში გაწეული აქვს დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები -20 000 ლარის ოდენობით, როგორც ფულადი, ასევე ნატურალური სარჩოს გადახდის სახით. გარდა აღნიშნულისა, მარჩენალს პირადად აქვს გაწეული სარჩოს მიმღების მიმართ მოვლის მომსახურება, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენდა 5000 ლარს. 2017 წლის 1 აპრილამდე მარჩენალმა წარადგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია და ხელშეკრულების ფარგლებში 2014 წლიდან გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები გამოქვითა ერთობლივი შემოსავლიდან, ხოლო მოვლის მომსახურების საბაზრო ღირებულება - 5000 ლარის ოდენობით დაბეგრა საშემოსავლო გადასახადით. ამასთან, პირმა აღნიშნული სამისდღეშიო რჩენის მომსახურება მიიჩნია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებულ ოპერაციად და არ დაბეგრა დღგ-ით.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მარჩენალს რჩენის მომსახურების მიწოდება ეთვლება საბაზრო ფასით მომსახურების რეალიზაციად - 25 000 ლარის ოდენობით (გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯებისა და მოვლის მომსახურების საბაზრო ღირებულება) და იმავე საბაზრო ფასით საქონლის (ბინის) შეძენად, ბინის საკუთრებაში მიღების მომენტში (მაისის თვე).


ყოველივე ზემოაღნიშნულისა და სსკ-ის მე-18 მუხლის დებულებებიდან გამომდინარე, მომსახურების ღირებულება - 5000 (25 000-20 000) ლარის ოდენობით ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრას 2016 წლის საანგარიშო პერიოდის მიხედვით.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მაისის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით, პირს დღგ-ის გადახდის ვალდებულება არ წარმოეშობა.

შესაბამისად, პირის ქმედება, როგორც საშემოსავლო, ასევე დამატებული ღირებულების გადასახადის ნაწილში, მართლზომიერია.



ობლიგაციებზე გადასახდელი პროცენტის მოცუბის გადასახადით დახვერა 2016



➤ მიტუეტიური სატელისქანელი დამტკიცებულია 2017 წლის 6 ივნისისთვის მოცუბი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით



ანოტაცია

„ობლიგაციაზე გადახდილი პროცენტის მოგების გადასახადით დაბეგვრა“ №2646

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ობლიგაციაზე გადახდილი პროცენტის მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, გადასახადის გადამხდელის მიერ ობლიგაციაზე გადახდილ იქნა პროცენტის თანხა, 28%-იანი განაკვეთის შესაბამისად.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელს წარმოადგენს ლიცენზირებული კომერციული ბანკი. ხოლო 28% წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროცენტო განაკვეთს. ხოლო მეორე შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელი არ არის ლიცენზირებული კომერციული ბანკი. ხოლო 28 პროცენტი წარმოადგენს წლიურ საპროცენტო განაკვეთს.


ორივე შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს, აღნიშნულ პროცენტთან დაკავშირებით, მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო ანგარიშგება არ განუხორციელებია.

სიტუაციურ სახელმძღვანელოში განხილულ პირველ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ობლიგაციის მფლობელს წარმოადგენს ლიცენზირებული კომერციული ბანკი, ადგილი არ აქვს ხარჯს, რომელიც დაკავშირებული არ არის მის ეკონომიკურ საქმიანობასთან. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელს არ წარმოეშობა მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

ხოლო მეორე შემთხვევაში, სხვაობა გადასახადის გადამხდელის მიერ ობლიგაციაზე გადახდილ წლიური 28%-ის შესაბამისად გამომწერილებულ თანხასა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური საპროცენტო განაკვეთის (24%) შესაბამისად გამომწერილებულ თანხას შორის, წარმოადგენს ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის. შესაბამისად, გადასახადის გადამხდელი ვალდებული იყო, ზემოაღნიშნული სხვაობა დაებეგრა მოგების გადასახადით.



უპირობადამოკიდებულ პირებს შორის გამზორციელებული იმერაცია 2647



➤ სტრუქტურული საბუღალტრო დამტკიცებულა 2017 წლის 19 სექტემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით



ანოტაცია

„ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის განხორციელებული ოპერაცია“ №2647

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ისეთ ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის ოპერაციის განხორციელებისას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხს, როდესაც ისინი მოგების გადასახადით იბეგრებიან სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, შპს „A“ და შპს „B“ წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. ამასთან, ორივე საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით. შპს „A“-მ შპს „B“-სთან დადო ხელშეკრულება 100 ცალი კალმის მიწოდების თაობაზე. თითო კალმის საბაზრო ფასი შეადგენდა 1 ლარს, საკომპენსაციო თანხა კი განისაზღვრა 80 ლარის ოდენობით.

შპს A-მ აღნიშნული 20 ლარი არ ჩათვალა მოგების განაწილებად და არ დაბეგრა მოგების გადასახადით.

სსკ-ის 98¹ მუხლის მე-4 ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგების განაწილებად ითვლება საწარმოს მიერ ურთიერთდამოკიდებულ პირთან (რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით) განხორციელებული ოპერაცია, თუ მათ შორის დადებული გარიგების ფასი განსხვავდება მისი საბაზრო ფასისაგან და მათი ურთიერთდამოკიდებულება გავლენას ახდენს გარიგების შედეგზე. ასეთ შემთხვევაში განაწილებული მოგების ოდენობა შეადგენს გარიგების საბაზრო ფასსა და მიღებულ/მისაღებ შემოსავალს შორის სხვაობას, თუ გარიგების საბაზრო ფასი აღემატება მიღებულ/მისაღებ შემოსავალს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმა ცხადყოფს, მოგების განაწილებად ითვლება საწარმოს მიერ ისეთ ურთიერთდამოკიდებულ პირთან განხორციელებული ოპერაცია, რომელიც მოგების გადასახადით არ იბეგრება საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით კი, საწარმოები მოგების გადასახადით იბეგრებიან სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით, მოგების განაწილების გარდა, გათვალისწინებულია მოგების გადასახადით დაბეგვრის სხვა ობიექტები, რომელთაგან, განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არაა არცერთი მათგანი, მათ შორის, უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება.

შესაბამისად, პირის ქმედება მართლზომიერია.



მოგების გადასახადის დაბრუნება გაცემული სესხის დაფარვის შემთხვევაში 2648

ფაქტობრივი გარემოებები	შეფასება	ღონისძიებები
<p>2017 წლის 5 თებერვალს, საქართველოს რეზიდენტმა შპს A-მ დადო სესხის ხელშეკრულება არარეზიდენტ კომპანია B-სთან.</p> <p>ხელშეკრულების მიხედვით სესხის თანხა განისაზღვრა 960 000 ლარის ოდენობით, 2 წლიანი გადახდის პირობით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი წლიური 10%-ის ოდენობით.</p> <p>შპს A-მ გაცემული სესხის თანხის მიხედვით განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება და გადასახდა მოგების გადასახადი 169 411,76 (960 000/0,85*15%) ლარის ოდენობით.</p>	<p>საქართველოს საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება ფიზიკურ პირზე ან არარეზიდენტზე სესხის გაცემა (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შექენისა).</p> <p>ამვე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი აგანის თანხის დაბრუნება ან გადახდილი აგანის სანაცვლოდ საქონლის/მოძსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/აგანის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მოძსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მოძსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.</p>	<p>პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და დამატებითი საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.</p>
<p>ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შედეგ სესხის დაფარვის გრაფიკი, რომლის შესაბამისადაც, კომპანია B-მ შპს A-ს გადაუხადა მარტის თვეში 44 291 ლარი (სესხის ძირითადი თანხა - 36 926,60 ლარი, პროცენტი - 7 364,40 ლარი), ასევე აპრილის თვეში - 44291 ლარი (სესხის ძირითადი თანხა - 36 198,30 ლარი, პროცენტი - 8 092,70 ლარი).</p>	<p>იმის გათვალისწინებით, რომ სესხის გაცემის შემთხვევაში, სსკ-ის 982 მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, დაბრუნებული სესხის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პირი უფლებამოსილია, დაიბრუნოს მარტის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 516,45 (36 926,60/0,85*15/100) ლარი, ხოლო აპრილის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 387,93 (36 198,30/0,85*15%) ლარი.</p> <p>შესაბამისად, პირის ქმედება მართლზომიერია.</p>	
<p>შპს A-მ, მიუხედავად იმისა, რომ სესხის თანხა სრულად არ იყო დაფარული, მოითხოვა დაბრუნებული სესხის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხის დაბრუნება მარტის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 516,45 (36 926,60/0,85*15/100) ლარის, ხოლო აპრილის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 387,93 (36 198,30/0,85*15%) ლარის ოდენობით.</p>		

- სტატეიური სახელმძღვანელო ეხება შემთხვევას, როდესაც შპს A მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგრის ობიექტების მიხედვით
- სტატეიურ სახელმძღვანელოში გათვალისწინებულ შემთხვევაში იგულისხმება, რომ სანარმო A-ს მარტის და აპრილის თვეების საანგარიშო პერიოდში არ აქვს დარიცხული და აღიარებული საგადასახადო დაგალოანება
- სტატეიური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2017 წლის 19 სექტემბრისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით



ანოტაცია

„მოგების გადასახადის დაბრუნება გაცემული სესხის დაფარვის შემთხვევაში“
№2648

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს გაცემული სესხის ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი მოგების გადასახადის დაბრუნების საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, 2017 წლის 5 თებერვალს, საქართველოს რეზიდენტმა შპს A-მ დადო სესხის ხელშეკრულება არარეზიდენტ კომპანია B-სთან.

ხელშეკრულების მიხედვით სესხის თანხა განისაზღვრა 960 000 ლარის ოდენობით, 2 წლიანი გადახდის პირობით, ხოლო საპროცენტო განაკვეთი წლიური 10%-ის ოდენობით. შპს A-მ გაცემული სესხის თანხის მიხედვით განახორციელა საგადასახადო ანგარიშგება და გადაიხადა მოგების გადასახადი 169 411,76 ($960\,000/0,85*15\%$) ლარის ოდენობით.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შედგა სესხის დაფარვის გრაფიკი, რომლის შესაბამისადაც, კომპანია B-მ შპს A-ს გადაუხადა მარტის თვეში 44 291 ლარი (სესხის ძირითადი თანხა - 36 926,60 ლარი, პროცენტი - 7 364,40 ლარი), ასევე აპრილის თვეში - 44291 ლარი (სესხის ძირითადი თანხა - 36 198,30 ლარი, პროცენტი - 8 092,70 ლარი).


შპს A-მ, მიუხედავად იმისა, რომ სესხის თანხა სრულად არ იყო დაფარული, მოითხოვა დაბრუნებული სესხის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხის დაბრუნება მარტის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 516,45 ($36\,926,60/0,85*15/100$) ლარის, ხოლო აპრილის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 387,93 ($36\,198,30/0,85*15\%$) ლარის ოდენობით.

იმის გათვალისწინებით, რომ სესხის გაცემის შემთხვევაში, სსკ-ის 98² მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, დაბრუნებული სესხის თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა ექვემდებარება დაბრუნებას, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, პირი უფლებამოსილია, დაიბრუნოს მარტის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 516,45 ($36\,926,60/0,85*15/100$) ლარი, ხოლო აპრილის თვის საანგარიშო პერიოდში - 6 387,93 ($36\,198,30/0,85*15\%$) ლარი.

შესაბამისად, პირის ქმედება მართლზომიერია.



საგადასახადო მუშაობების მიხედვით პერიოდის საგადასახადო შემოქმედა 2020





გაგონიანად გადასახადები

მენეჯერის, სამართლებრივ
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მათგანგანის
უნივერსალური სამომხმარებლო ფუნქციონალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მომღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მომღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მომღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

ღიზინი ჰონიბიხაფია

- » ეტიკატიბი
- » ბუკლეტიბი
- » კლაკატიბი
- » შესაფუთი პაკეტიბი
- » ნიბნები